www.geostat.ge

სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ხელფასების სტატისტიკა

2017

წლიური

08.10.2018

www.geostat.ge

08.10.2018

ხელფასების სტატისტიკა

(2017 წელი)

2017 წელს საქართველოში საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი გასულ წელთან შედარებით 6.3 პროცენტით გაიზარდა და 999.1 ლარი შეადგინა.

დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი საქართველოში



2017 წელს საქმიანობების დარგების მიხედვით ყველაზე მაღალი ხელფასი დაფიქსირდა საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობის (2008.3 ლარი); პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობების (1594.5 ლარი); მშენებლობის (1465.7 ლარი) და ინფორმაციისა და კომუნიკაციის დარგებში (1425.7 ლარი).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ხელფასების განაწილება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით.



გენდერული თვალსაზრისით, 2017 წელს ქალების და კაცების საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი წინა წელთან შედარებით 5.3 და 7.2 პროცენტით გაიზარდა და, შესაბამისად, 770.2 და 1197.4 ლარი შეადგინა. საქმიანობის სახეების მიხედვით კაცების საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი თითქმის ყველა სექციაში აღემატება ქალების საშუალო ხელფასს.

ქვემოთ მოცემული დიაგრამაზე წარმოდგენილია სქესის მიხედვით საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი წლების მიხედვით:

დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი სქესის მიხედვით



2017 წელს საშუალო ნომინალური ხელფასების დონე სახელმწიფო სექტორში თითქმის არ შეცვლილა წინა წელთან შედარებით და 861.2 ლარი შეადგინა. შესაბამისად, საშუალო ხელფასების ზრდა ქვეყანაში მთლიანად არასახელმწიფო სექტორზე მოდის: 2017 წელს არასახელმწიფო სექტორის ხელფასები 990.9 ლარიდან 1077.1 ლარამდე გაიზარდა.

სახელმწიფო და არასახელმწიფო სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი



ბიზნეს სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო ხელფასი 2017 წელს წინა წელთან შედარებით 8.7 პროცენტით გაიზარდა და 1019.7 ლარი შეადგინა.

სამეწარმეო სფეროში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი



საქმიანობის სახეების მიხედვით ბიზნეს სექტორის ყველა დარგში დაფიქსირდა ხელფასების მატება. ხელფასის ყველაზე მაღალი დონე დაფიქსირდა პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობების (1759.8 ლარი) და მშენებლობის (1473.0 ლარი) დარგებში. წინა წელთან შედარებით ხელფასების ზრდამ აღნიშნულ სექტორებში შეადგინა შესაბამისად 11.7 და 15.7 პროცენტი.

არასამეწარმეო და საფინანსო სფეროში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო ხელფასი 962.7 ლარს გაუტოლდა, რაც წლიურ გამოსახულებაში 2.1-პროცენტიან ზრდას წარმოადგენს.

არასამეწარმეო სფეროში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი



2017 წელს, დაკავებული პოზიციების მიხედვით ყველაზე მაღალი ხელფასები ფიქსირდება მენეჯერულ პოზიციებზე: „კანონმდებლების, მთავრობის მაღალი რანგის თანამდებობის პირების და მენეჯერების“ პოზიციაზე ხელფასის დონემ 2177.4 ლარი შეადგინა. ხელფასების დაბალი მაჩვენებლები დაფიქსირდა სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის დარგის კვალიფიციური მუშაკების პოზიციაზე.

ისევე როგორც საქმიანობის სახეების შემთხვევაში, ქალების საშუალო თვიური ხელფასი დაკავებული პოზიციების მიხედვით აგრეთვე მნიშვნელოვნად ჩამორჩება მამაკაცების საშუალო თვიურ ხელფასებს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია დაქირავებით დასაქმებულთა ხელფასები დაკავებული თანამდებობების/პოზიციების მიხედვით სქესობრივ ჭრილში.

დაქირავებით დასაქმებულთა ხელფასები დაკავებული თანამდებობების/პოზიციების მიხედვით

დაკავებული თანამდებობა/პოზიცია	სულ	მათ შორის:	
		ქალი	კაცი
სულ	999.1	770.2	1197.4
კანონმდებლები, მთავრობის მაღალი რანგის თანამდებობის პირები და მენეჯერები	2177.4	1651.1	2432.7
სპეციალისტ-პროფესიონალები	960.4	807.3	1242.0
სპეციალისტები და დამხმარე პერსონალი	897.5	636.2	1148.0
ოფისის პერსონალი	957.6	840.1	1131.9
მომსახურების სფეროსა და სავაჭრო დაწესებულებების მომსახურე პერსონალი	683.1	522.5	810.4
სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის დარგის კვალიფიციური მუშაკები	525.1	479.2	538.0
ხელოსნები და მონათესავე პროფესიების მუშაკები	1073.0	572.3	1170.5
სამრეწველო დანადგარებისა და მანქანების ოპერატორები და ამწყობები	934.7	761.9	945.8
არაკვალიფიციური მუშები	581.2	388.6	700.8

რელიზში გამოყენებულია ეკონომიკური საქმიანობის სახეების შემდეგი კლასიფიკაცია: ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკაცია (ეფუძნება ევროპულ სტანდარტს NACE rev.2) სექციების დასახელებები

A	„სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა“
B	„სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება“
C	„დამამუშავებელი მრეწველობა“
D	„ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება“
E	„წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები“
F	„მშენებლობა“
G	„საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი“
H	„ტრანსპორტი და დასაწყობება“
I	„განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები“
J	„ინფორმაცია და კომუნიკაცია“
K	„საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები“
L	„უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები“
M	„პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები“
N	„ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები“
O	„სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა;სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება“
P	„განათლება“
Q	„ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები“
R	„ხელოვნება, გართობა და დასვენება“
S	„სხვა სახის მომსახურება“
U	„ექსტერიტორიული ორგანიზაციების და ორგანოების საქმიანობები“

საკონტაქტო პირი: ირმა გვილავა, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (608).
E-mail: igvilava@geostat.ge